



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №2/2

2017 წლის 13 იანვარი
ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №24/83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №24/83 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ირაკლი კაკულია), რათა მან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით აიღოს სესხი სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 428643.00 (ოთხას ოცდარვა ათას ექვსასორმოცდასამი) ლარის ოდენობით კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანების და ნარჩენების კონტეინერების შესაძენად“.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 13 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია